



კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (2015-2017 წ.)

სატელეკომუნიკაციო სფეროს რეგულირება მრავალსპექტიან, დინამიურ და კომპლექსურ საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც უნდა პასუხობდეს როგორც ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, ასევე, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორში მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პოლიტიკას.

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში არსებულმა ტენდენციამ - სატელეკომუნიკაციო პლატფორმებისა და სამომხმარებლო ტერმინალების კონვერგენციის პროცესმა - რადიკალურად შეცვალა როგორც სხვადასხვა სახის სატელეკომუნიკაციო მომსახურების აბონენტებისათვის მიწოდების ტრადიციული შესაძლებლობები, ასევე, მთლიანად სატელეკომუნიკაციო სექტორის ბიზნეს მოდელი და ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის ბაზარზე არსებული თამაშის წესები; აღნიშნული, თავის მხრივ, კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის რეგულირების პროცესს და საჭიროებს როგორც ფართოზოლოვანი ქსელების გაჩენითა და ინტერნეტის განვითარებით გამოწვეული შეცვლილი ბიზნეს და კონკურენციის მოდელის შესაბამისი მარეგულირებელი ზომების გატარებას, ასევე - ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურებების შემდგომი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმების დანერგვას.

კომისიის მიერ განსაზღვრული 2015-2017 წლების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ითვალისწინებს სატელეკომუნიკაციო სექტორში მომხმარებლების, მომსახურების მიმწოდებლების და ტექნოლოგიების კუთხით არსებულ ტენდენციებს, ისევე როგორც ეყრდნობა სატელეკომუნიკაციო სფეროში არსებულ სახელმწიფო პოლიტიკასა და ევროკავშირის ფარგლებში დანერგილ რეგულირების საუკეთესო პრაქტიკას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასახული მთავარი მიზნის განხორციელებას; კერძოდ, ხარისხიან და მრავალფეროვან სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე მომხმარებლების გონივრულ ფასად და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წვდომის უზრუნველყოფას.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (როგორც ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორების მარეგულირებელი უწყების) საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება - გამჭვირვალე, სამართლიანი და იდენტიფიცირებული პრობლემების თანაზომადი გადაწყვეტილებების მიღების გზით, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და ფართოზოლოვანი ქსელების/მომსახურების დანერგვის ხელშეწყობა, სახელმწიფო რესურსის ეფექტიანი მართვა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული მიმართულებების (მოქმედი კანონმდებლობის ევრო-რეგულაციებთან ჰარმონიზაცია) შესრულება.

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში
კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები
(2015-2017 წ.)



მოქმედი კანონების ევრო-დირექტივებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა

კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა


საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მომსახურებების
განვითარების ხელშეწყობა

მომხმარებლების ინტერესების დაცვა

სახელმწიფო რესურსის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის ბაზარზე მომხმარებლების, მომსახურების მიმწოდებლებისა და ტექნოლოგიების კუთხით არსებული ტენდენციები

სატელეკომუნიკაციო სფეროს განვითარების კუთხით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ **ინტერნეტ¹ შეცვალა მსოფლიო**. ინტერნეტ მომსახურებაზე² მზარდმა მოთხოვნამ საფუძველი ჩაუყარა ახალი თაობის საკომუნიკაციო ქსელების (NGN)³ ფორმირებას, რომელმაც თავის მხრივ რადიკალურად შეცვალა როგორც სხვადასხვა სახის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების აბონენტებისათვის მიწოდების ტრადიციული შესაძლებლობები, ასევე მთლიანად ბიზნესისა და კომერციული საქმიანობის წარმოების მოდელი და ზოგადად კონკურენციის კუთხით აქამდე არსებული თამაშის წესები.



მოცემული კი ქსელებისა და კონტენტის (აპლიკაციების) განცალკევების (ტრანსპორტისა და მომსახურების განცალკევების) დამსახურებაა, რაც საშუალებას იძლევა **ღია ინტერნეტ პლატფორმით** მიწოდებულ იქნეს ნებისმიერი სახის ელექტრონული მომსახურება/კონტენტი (აპლიკაცია), რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ამგვარი „Over the Top“⁴ მომსახურების მიმწოდებლების ბაზარზე შესვლის დაბრკოლება და ინოვაციური მომსახურებების განვითარების კატალიზატორს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქსელური და მომსახურების დონეების სეპარაცია IP ტექნოლოგიის თანდაყოლილი დამახასიათებელი ნიშანია, რომლის ფარგლებშიც კონტენტის (აპლიკაციების) მწარმოებლებს (ნებისმიერი სახის ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლებს)

¹ **ინტერნეტი** - მსოფლიო მასშტაბით ურთიერთჩართული ათასობით დამოუკიდებელი (ავტონომიური) ქსელების ერთობლიობა, რომელიც იყენებს ინტერნეტ პროტოკოლს (IP) ნებისმიერ ხელმისაწვდომ (მსოფლიო მასშტაბით ქსელში ჩართულ) პუნქტთან/ტერმინალთან დასაკავშირებლად.

² **ინტერნეტ მომსახურება/ინტერნეტზე დაშვების მომსახურება** - მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტის ფარგლებში ჩართულ დანარჩენ ქსელებთან წვდომას უზრუნველყოფს ინტერნეტ პროტოკოლით, პირდაპირი (peering) თუ არაპირდაპირი (transit) ურთიერთჩართვის მეშვეობით.

³ **ახალი თაობის ქსელი/NGN (Next Generation Network)** - პაკეტური კომუტაციის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც **ფართოზოლოვანი** (მონაცემთა სწრაფი გადაცემის) მომსახურების მიწოდების საშუალებას იძლევა და რომლის ფარგლებშიც **ინტერნეტზე დაშვების** მომსახურების მიწოდებასთან ერთად, ასევე, შესაძლებელია **მართვადი ხმოვანი (VOIP) და სატელევიზიო (IPTV)** მომსახურებების მიწოდება.

მართვადი ხმოვანი (VOIP) და სატელევიზიო (IPTV) მომსახურება - მომსახურების მიმწოდებლის მიერ ფართოზოლოვანი ქსელით, გამოყოფილი ინტერნეტ არხით, ინტერნეტ პროტოკოლით, მიწოდებული მომსახურება, რომლის გარანტირებული ხარისხით (სიჩქარით) მიწოდებისთვისაც ოპერატორი აბონენტს, როგორც წესი, დამატებით საფასურს უწესებს.

⁴ **Over the Top მომსახურება** - ნებისმიერი ელექტრონული მომსახურება/აპლიკაცია/კონტენტი, რომელიც აბონენტს/მომხმარებელს ღია ინტერნეტის საშუალებით მიეწოდება (მათ შორის Internet TV და VOIP).

საშუალება აქვთ, მსოფლიო მასშტაბით ბოლო მომხმარებელს მიაწოდონ ე.წ. „Over the Top“ მომსახურება ქსელური/ინტერნეტ მომსახურების⁵ მიმწოდებლისაგან დამოუკიდებლად.

საბოლოო ჯამში კი ინტერნეტ მომსახურებამ უპრეცედენტო დატვირთვა შეიძინა და დღეს (როგორც ევროპარლამენტი და ევროკომისია უწოდებს) იგი წარმოადგენს ე.წ. „network of networks“ (ქსელების ქსელს), რომელმაც წაშალა მომხმარებლებთან წვდომის აქამდე არსებული ყველანაირი ბარიერი და საზღვრები; გარდაქმნა ადამიანებს შორის კომუნიკაციის, ინფორმაციის მიღება-გაცვლის, მუშაობის, სწავლებისა და კომერციული/ბიზნეს საქმიანობის წარმოების ტრადიციული მოდელები, რაც სულ უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ჯანდაცვის, მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის, სიტყვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის კუთხით. სწორედ იმიტომ, რომ ინტერნეტ მომსახურება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის კატალიზატორს წარმოადგენს, ფართოზოლოვანი ქსელებისა და ინტერნეტ მომსახურების განვითარების ხელშეწყობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მასშტაბით სამთავრობო სტრატეგიად იქცა.

ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებამ (ინტერნეტის სიჩქარის ზრდამ) და ინტერნეტში ჩართული მრავალფეროვანი ტერმინალური მოწყობილობების გაჩენამ, ასევე, შეცვალა ტრადიციული სატელევიზიო კონტენტის მომხმარებლებისათვის მიწოდების შესაძლებლობები, ისევე როგორც სატელევიზიო კონტენტის მომხმარებელთა ქცევა. შესაბამისად, დღეს, სატელევიზიო (აუდიო-ვიზუალური მედია) კონტენტ მწარმოებლებს საშუალება აქვთ მიაწოდონ და მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ სატელევიზიო კონტენტი მიიღონ როგორც ტრადიციული ღია საეთერო (მიწისზედა და თანამგზავრული) ქსელითა და სხვადასხვა ტიპის ფასიანი (საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მართვადი) სამაუწყებლო (pay-TV) პლატფორმით (თანამგზავრი, მართვადი IPTV, MMDS, მიტრისი, კოაქსიალი), ასევე ღია ინტერნეტით, ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი ტერმინალური მოწყობილობის მეშვეობით (დაწყებული ე.წ. „Connected TV“-დან დამთავრებული პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით, ტაბლეტებითა და სმარტფონებით). დამატებით, მომხმარებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, სატელევიზიო კონტენტს უყურონ როგორც დროის რეალურ რეჟიმში, ასევე მიიღონ გამოძახებითი (on-demand) და/ან ე.წ. „Time-shifted“ სატელევიზიო მომსახურება მათ მიერ არჩეულ დროს.


მოცემული კი, ერთი მხრივ, დამატებით შესაძლებლობებს იძლევა მედია მომსახურების ბაზარზე კონკურენციისა და პლურალიზმის უზრუნველყოფის კუთხით, ამავე დროს, უფრო კომპლექსურს ხდის (განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე) ყველა ტიპის აბონენტთან წვდომის უზრუნველყოფის კუთხით მედია მომსახურების მიმწოდებლის ბიზნეს მოდელს.

მსოფლიო მასშტაბით, ისევე, როგორც საქართველოში, მომხმარებლების მხრიდან იზრდება სწრაფ ინტერნეტ მომსახურებაზე დაშვების, ფართოზოლოვან (მონაცემთა სწრაფი გადაცემის შესაძლებლობის მქონე) ქსელებში მუდმივად „ჩართულობისა“ და მობილურობის მოთხოვნა, რაც ასახვას პოულობს საშუალო აბონენტის მიერ მოხმარებული ტრაფიკის ზრდის მაჩვენებელზე. Cisco-ს 2014 წლის გათვლებით, 2016 წლის ბოლოს, მსოფლიო IP ტრაფიკი 91 ექსაბაიტს, ხოლო 2018 წელს 132 ექსაბაიტს მიაღწევს; ასევე შენარჩუნდება IP ტრაფიკის ფარგლებში დღეს არსებული ტენდენციები და 2018 წელს:

- მსოფლიო IP ტრაფიკის ნახევარზე მეტი დაგენერირდება ტელევიზორების, ტაბლეტების, სმარტფონების გამოყენებითა და M2M (machine to machine) ტერმინალური მოწყობილობებით;
- IP ქსელებში ჩართული ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობა მსოფლიო მოსახლეობაზე ორჯერ მეტი იქნება;

⁵ფართოზოლოვანი ქსელის ოპერატორი და ინტერნეტზე დაშვების მომსახურების მიმწოდებელი შესაძლებელია სხვადასხვა პირი იყოს.

- საშუალო IP ტრაფიკი ერთ სულ მოსახლეზე 17 გიგაბაიტს მიაღწევს და გლობალური მასშტაბით ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელების ფარგლებში მიწოდებული მომსახურების სიჩქარის საშუალო მაჩვენებელი 42 მგბ/წმ-მდე გაიზარდა;
- IP ვიდეო ტრაფიკი მსოფლიო IP ტრაფიკის 79%-ს მიაღწევს (არ მოიცავს P2P (peer to peer) პრინციპით გაცვლილ ფაილებს);
- კონტენტის მიმწოდებელი ქსელების (Content Delivery Networks (CDN)⁶ დამსახურებით ქალაქებისა და დიდი დასახლებული პუნქტების ტრაფიკი მსოფლიო IP ტრაფიკის 62% მიაღწევს;
- მსოფლიო ინტერნეტ ტრაფიკის 55% კონტენტის მიმწოდებელი ქსელების (CDN) ფარგლებში გაივლის;
- ტელევიზორებით მიღებული ინტერნეტ ვიდეო ტრაფიკი მსოფლიო ინტერნეტ ვიდეო ტრაფიკის 14 %-ი იქნება;
- მსოფლიო მობილურ მონაცემთა ტრაფიკი 2013 წელთან შედარებით 11-ჯერ გაიზარდა.



მსოფლიო IP ტრაფიკი 2013-2018							
	2013	2014	2015	2016	2017	2018	აგრეგირებული წლიური ზრდის მაჩვენებელი (CAGR) 2013-2018
მომსახურების ტიპის მიხედვით (პეტაბაიტი/თვე)							
ფიქსირებული ინტერნეტი	34.952	42.119	50.504	60.540	72.557	86.409	20%
მართვადი IP მომსახურება	14.736	17.774	20.898	23.738	26.361	29.305	15%
მობილურ	1.480	2.582	4.337	6.981	10.788	15.838	61%

⁶ CDN(კონტენტის მიმწოდებელი ქსელი)- სერვერების სისტემა, რომლის მთავარ ფუნქციასაც წარმოადგენს კონტენტისა და აპლიკაციების მწარმოებლების პროდუქტის (მათი მოთხოვნით) აგრეგაცია და აბონენტის მფლობელ ინტერნეტ პროვაიდერთან ახლოს მიტანა, რომელიც როგორც წესი, ხორციელდება ქეშირების და/ან სარკისებური სერვერების სტრატეგიულად მიზანშეწონილ ადგილებში განთავსებით, რაც უზრუნველყოფს აბონენტების ადეკვატური ხარისხით (მოკლე მანძილიდან) წვდომას შესაბამის კონტენტზე. დღეს ბაზარზე არსებობს CDN-ის მრავალი ტიპი, მაგალითად:

- წმინდა CDN-ი: Akamai (მხოლოდ სერვერები)
- ვერტიკალურად ინტეგრირებული CDN-ი, რომელიც ასევე ახორციელებს ქსელით უზრუნველყოფას და ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას: Level 3, AT&T
- კონტენტის მწარმოებელი CDN-ი: Google, Amazon

მონაცემთა გადაცემა							
მომხმარებელთა სეგმენტის მიხედვით (პეტაბაიტი/თვე)							
ფიზიკური	40.905	50.375	61.439	74.361	89.689	107.958	21%
იურიდიული	10.263	12.100	14.300	16.899	20.016	23.595	18%
გეოგრაფიული ტერიტორიის მიხედვით (პეტაბაიტი/თვე)							
აზია	17.950	22.119	26.869	32.383	39.086	47.273	21%
ჩრდილოეთ ამერიკა	16.607	20.293	24.599	29.377	34.552	40.545	20%
დასავლეთ ევროპა	8.396	9.739	11.336	13.443	16.051	19.257	18%
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	3.654	4.416	5.443	6.666	8.332	10.223	23%
ლათინური ამერიკა	3.488	4.361	5.318	6.363	7.576	8.931	21%
შუა აღმოსავლეთი და აფრიკა	1.074	1.546	2.174	3.027	4.108	5.324	38%
სულ (პეტაბაიტი/თვე)							
	51.168	62.476	75.739	91.260	109.705	131.553	21%

წყარო: Cisco Visual Networking Index (VNI), 2014

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც მობილური, ასევე ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის/მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორებისათვის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს ქსელურ ინფრასტრუქტურაში დამატებითი ინვესტიციების განხორციელება, რათა დააკმაყოფილონ მომხმარებლების მხრიდან მონაცემთა გადაცემის კუთხით გაჩენილი და გაზრდილი მოთხოვნა.

ინტერნეტის ქსელების, მრავალფეროვანი კონტენტის განვითარებასთან და ინტერნეტ ტრაფიკის ზრდასთან ერთად შეიცვალა IP ურთიერთჩართვის ბაზარზე არსებული სიტუაცია და ინტერნეტ სისტემის საწყის ეტაპზე არსებული იერარქიული სტრუქტურა; კერძოდ:


ა) შეიცვალა კონტენტის მწარმოებლების მიდგომა აბონენტებთან წვდომის კუთხით: CDN-ების სახით გაჩნდნენ ინტერნეტ სისტემის ახალი მოთამაშეები (მოცულობითი, ე.წ. “bandwidth intensive” და გლობალური კონტენტ პროვაიდერები ნეიტრალური CDN-ების მეშვეობით ან საკუთარი ქსელების (CDN) ჩამოყალიბების გზით (მაგ. Google), ახლოს მიდიან აბონენტების მფლობელ პროვაიდერებთან ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების - ხარჯების შემცირების/კონტენტის ადეკვატური ხარისხით მიწოდების მიზნით და პირდაპირ (ტრანზიტული/მაგისტრალური ოპერატორების გზის ავლით) ახორციელებენ ურთიერთჩართვას (პირინგი)⁷ აბონენტის მფლობელ ოპერატორებთან).

ბ) განვითარდა ინტერნეტის ურთიერთჩართვის ისეთი ფორმები, როგორებიც არის ფასიანი პირინგი, რეგიონალური (ე.წ. Donut peering) პირინგი და ნაწილობრივი ტრანზიტები.

⁷ პირინგი (იგივე გაფართოებული ურთიერთჩართვა) წარმოადგენს ორმხრივ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები ახორციელებენ ეთმანეთის მიმართ (ასევე CDN-ებთან) ტრაფიკის ურთიერთგაცვლას. პირინგი შესაძლებელია, იყოს ფასიანი და უფასო. პირინგი არ მოიცავს მესამე პირის ტრაფიკს ან მის ქსელში დაშვებას. შესაბამისად, ტრანზიტისაგან განსხვავებით პირინგი ვერ უზრუნველყოფს გლობალურ ინტერნეტ სისტემასთან სრულ კავშირს.

შესაბამისად, თუ წინა წლებში მთელი მსოფლიო ინტერნეტ ტრაფიკი ე.წ. „Tier 1“ მაგისტრალური ოპერატორების გავლით მოძრაობდა, დღეს ინტერნეტ ურთიერთჩართვის სტრუქტურამ ჰორიზონტალური სახე მიიღო, სადაც ხდება ინტერნეტ ტრაფიკის მაქსიმალური ლოკალიზება და ტრაფიკის გაცვლა პირდაპირი ფასიანი თუ უფასო ურთიერთჩართვის (პირინგის) მეშვეობით, რომელმაც შედარებით დააკნინა მაგისტრალური ოპერატორების როლი. მოცემული ჰორიზონტალური სტრუქტურის განვითარებაში კი უმთავრესი წვლილი მიუძღვის რეგიონალური/ეროვნული ინტერნეტის ურთიერთჩართვის ცენტრების (IXP) ჩამოყალიბებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც შეიცვალა მომხმარებელთათვის მომსახურებისა და კონტენტის მიწოდების ტრადიციული ბიზნეს მოდელი და ძალზედ გაიზარდა ინტერნეტის ტრაფიკი, რაც თავის მხრივ, ფართოზოლოვანი ქსელის ოპერატორის/ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან დამატებით ინვესტიციებს საჭიროებს, მსოფლიო მასშტაბით დღის წესრიგში დადგა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების მიერ ინტერნეტ ტრაფიკის არაობიექტურად დიფერენცირებისა და სხვადასხვა სახის „Online“ ტრაფიკისა თუ კონტენტის/ აპლიკაციების (application) ბლოკირების, შეზღუდვის და/ან სიჩქარის ხელოვნურად ლიმიტირების საკითხი; აღნიშნული კი, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ინტერნეტის ღიაობის, ნეიტრალიტეტის (Net neutrality)⁸ საკითხს (ანუ თვით ინტერნეტის არსს) და საფრთხეს უქმნის ინტერნეტის საშუალებით მიწოდებული ე.წ. „Over the Top“ მომსახურებების მომავალი განვითარების საკითხს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი ღია ინტერნეტით მიწოდებული (Over the Top) მომსახურება კონკურენციას უწევს ფართოზოლოვანი/ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენულ ბაზარზე აბონენტისათვის მიწოდებულ მართვად IP მომსახურებას⁹.



ბოლო წლებში აბონენტის მფლობელი როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური ინტერნეტ ოპერატორებისაგან, მსოფლიო მასშტაბით აქტიურად ისმის უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ კონტენტ პროვაიდერები/ „Over the Top“ ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც მათი ქსელების აქტიური გამოყენებით შემოსავალს იღებენ მათი აბონენტებისაგან, არ იხდიან ქსელის მოხმარებისათვის ადეკვატურ საფასურს; ხოლო ქსელის მფლობელ ოპერატორებს/ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს, სწორედ აბონენტებისათვის მოცულობითი

⁸ Net neutrality - იგივე ქსელების, ინტერნეტის ნეიტრალიტეტი და ღიაობა წარმოადგენს პრინციპს, რომელიც ხელს უწყობს ელექტრონული ინფორმაციის, კონტენტისა და მომსახურების თავისუფალ მიღება-გაცვლას და რომლის ფარგლებშიც ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებმა თანაბარი (გონივრული) მიდგომა უნდა გამოიყენოს ნებისმიერი სახის ინტერნეტ ტრაფიკის მიმართ, ხოლო მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს ინტერნეტის მეშვეობით თანაბრად შეუზღუდავად მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი (ლეგალური) მომსახურება, კონტენტი თუ აპლიკაცია.

⁹ კერძოდ, როდესაც ინტერნეტ მომსახურების ფარგლებში ღია ინტერნეტის საშუალებით მიწოდებული მომსახურება (მაგ. Internet TV და VOIP) კონკურენციას უწევს თვით ქსელური ოპერატორის/ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის მიერ იგივე ფართოზოლოვანი ქსელით, იგივე აბონენტისათვის მიწოდებულ მართვად VOIP და IPTV მომსახურებას, რომლის გარანტირებული ხარისხით (სიჩქარით) მიწოდებისთვისაც ოპერატორი აბონენტს, როგორც წესი, დამატებით საფასურს ახდევინებს.

კონტენტის მიწოდებისა და აბონენტების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მუდმივად უზდებათ ქსელურ ინფრასტრუქტურაში დამატებითი ინვესტიციების განხორციელება, რომლის შესაბამისადაც არ იზრდება ერთ აბონენტზე მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU).

მოცემული პრობლემის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მოცულობითი კონტენტის მიმწოდებლებს/ტრანზიტულ ოპერატორებსა და აბონენტის მფლობელ ინტერნეტ ოპერატორებს შორის IP ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით ბოლო წლებში მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე დავები, ასევე ღია ინტერნეტით მიწოდებული VOIP მომსახურების მობილური ოპერატორების მიერ ბლოკირების ან ხარისხის ხელოვნურად დეგრადაციის შემთხვევები. შესაბამისად, მსოფლიოში გაჩნდა საფრთხე, რომ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებსაც დღეს ბაზარზე მომხმარებლებსა და ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლებს შორის ე.წ. „gatekeeper“-ების ადგილი უჭირავთ, შეუძლიათ, ბოროტად გამოიყენონ თავისი ძალაუფლება/პოზიცია და ითამაშონ როგორც კონკურენციის, ასევე ახალი ტიპის ელექტრონული მომსახურებების განვითარების შემაფერხებელი რგოლის როლი.

ზემოხსენებული ტენდენციების გათვალისწინებით მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები აქტიურად ცდილობენ: ა) შეიმუშავონ ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურებების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, ისევე როგორც ბ) მარეგულირებელი ნორმები მოარგონ სატელეკომუნიკაციო ქსელების კონვერგენციისა და ინტერნეტის განვითარების შედეგად ბაზარზე შეცვლილ თამაშის წესებს, სადაც დაცული იქნება ინტერნეტის ღია (ნეიტრალური) ხასიათი და მომხმარებლების უფლებები.

სატელეკომუნიკაციო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა, რეგულირების ახალი ასპექტები
და კომისიის შესაბამისი საქმიანობა

„ასოცირების შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად, საქართველოს მთავრობამ სატელეკომუნიკაციო სფეროში განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება და აიღო ვალდებულება ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ეტაპობრივად მოიცვანოს სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის ფარგლებში არსებულ რეგულაციებთან, რომელიც მოიცავს:

- 1) 2002 წლის 7 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2002/21/EC¹⁰ დირექტივას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (შემდგომში „ჩარჩო დირექტივა“), რომელშიც ცვლილებები და დამატებები შევიდა 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/140/EC დირექტივით;
- 2) 2002 წლის 7 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2002/20/EC¹¹ დირექტივას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის შესახებ (შემდგომში „ავტორიზაციის შესახებ დირექტივა“), რომელშიც ცვლილებები და დამატებები შევიდა 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/140/EC დირექტივით;
- 3) 2002 წლის 7 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2002/19/EC¹² დირექტივას ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ (შემდგომში „დაშვების შესახებ დირექტივა“), რომელშიც ცვლილებები და დამატებები შევიდა 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/140/EC დირექტივით;
- 4) 2002 წლის 7 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2002/22/EC¹³ დირექტივას უნივერსალური მომსახურებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ (შემდგომში „უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა“), რომელშიც ცვლილებები და დამატებები შევიდა 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/136/EC დირექტივით;
- 5) 2002 წლის 12 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2002/58/EC¹⁴ დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (შემდგომში „პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა“), რომელშიც ცვლილებები და დამატებები შევიდა 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/136/EC დირექტივით;
- 6) 2002 წლის 7 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილებას №676/2002/EC¹⁵ ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ.
- 7) 2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს №2010/13/EU¹⁶ დირექტივა აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა).

¹⁰ http://ec.europa.eu/digital-agenda/sites/digital-agenda/files/140framework_5.pdf

¹¹ http://ec.europa.eu/digital-agenda/sites/digital-agenda/files/140authorisation_2.pdf

¹² http://ec.europa.eu/digital-agenda/sites/digital-agenda/files/140access_1.pdf

¹³ http://ec.europa.eu/digital-agenda/sites/digital-agenda/files/Directive%202002%2022%20EC_0.pdf

¹⁴ http://ec.europa.eu/digital-agenda/sites/digital-agenda/files/24epiracy_2.pdf

¹⁵ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002D0676&from=EN>

¹⁶ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2010:095:0001:0024:en:PDF>

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა¹⁷, სადაც კომისია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ზემოხსენებულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით განსაზღვრულია პასუხისმგებელ უწყებად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია 2002 წლის ევრო-დირექტივებთან, თუმცა არ ითვალისწინებს 2009 წელს შემუშავებული ე.წ. „Telecoms Reform Package“¹⁷-ით დირექტივებში შესულ ცვლილებებს, რომლის ინიცირების ძირითადი მიზანიც იყო ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვითა და ინტერნეტის პლატფორმის განვითარებით გამოწვეული, შეცვლილი გარემოს ამსახველი მარეგულირებელი ნორმების შემუშავება.

ე.წ. „Telecoms Reform Package“ -ით განხორციელებული ცვლილებები კი ძირითადად ორიენტირებულია ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონკურენციის უზრუნველყოფის, ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხელშეწყობის, ბაზარზე შეცვლილი მოთხოვნების შესაბამისად რადიოსიხშირული რესურსის მართვის, მომხმარებლების უფლებების დაცვის, მათ შორის უნივერსალური მომსახურების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ეკვივალენტური წვდომის უზრუნველყოფის, პერსონალური მონაცემების დაცვის, ინტერნეტის ღია და ნეიტრალური ხასიათის შენარჩუნების, ქსელების უსაფრთხოებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე.

ჟენევის (GE-06) ხელშეკრულების ხელმოწერით (რომელიც განსაზღვრავს ხელმოწერი ქვეყნების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვადებს, ციფრული და ანალოგური მაუწყებლობისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გამოყენების წესებსა და რადიოსიხშირების კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს), საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2006 წელს განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობასთან დაკავშირებული სტრატეგია. ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მთავრობის მიერ მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები“, რომლის შესაბამისადაც ცვლილებები შევიდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტზე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ არ არის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირში ტელემაუწყებლობის სფეროში მოქმედ „აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების“ დირექტივასთან, რომლის დანერგვაც, მთავრობის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს „ასოცირების შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 წლის ვადაში. „აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების“ დირექტივამ 2010 წელს ჩაანაცვლა ევროპის ფარგლებში სატელევიზიო სფეროში მოქმედი (Television without Frontiers Directive (TVwF) დირექტივა, რომლის ძირითადი მიზანიც იყო სატელევიზიო ბაზარზე ტექნოლოგიური ცვლილებების ამსახველი ნორმების შემუშავება, ახალი ტიპის აუდიო ვიზუალური მედია ნაწარმისათვის კონკურენტული სამოქმედო პირობების შექმნა, ახალ მედია გარემოში

¹⁷ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:337:FULL:EN:PDF>


არასრულწლოვანებისა და მომხმარებლების დაცვის უზრუნველყოფა და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა.

„ასოცირების შესახებ“ ხელშეკრულების „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულია, ასევე, ფოსტის შესახებ კანონის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს №97/67/EC, №2002/39/EC და №97/67/EC დირექტივებს. ზემოაღნიშნული დირექტივების შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს; თუმცა, როგორც ამ ეტაპზეა ცნობილი, ფოსტის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ფოსტის სფერო კომისიის რეგულირების ფარგლებში მოექცევა, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელი იქნება კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტის/აქტების შემუშავებაზე.




მოქმედი კანონების ევრო-დირექტივებთან
ჰარმონიზაცია

კომისია, სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული ზემოაღნიშნული მიმართულების შესრულების უზრუნველყოფისა და ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში რეგულირების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, გეგმავს:



განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციებისა და ტელე-მაუწყებლობის
სფეროებში მოქმედი ევრო-დირექტივების შესაბამისობის ანალიზი საქართველოში
მოქმედ კანონმდებლობასთან;



შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს ელექტრონული
კომუნიკაციებისა და ტელე-მაუწყებლობის სფეროებში მოქმედი კანონების
ცვლილებების პროექტი;

შენიშვნა: ვინაიდან ევროპული პრაქტიკით რეკომენდებულია (საქართველოში არსებული პრაქტიკაც იგივეს ითვალისწინებს), რომ კანონში გაიწეროს ძირითადი საკითხები, ხოლო კონკრეტული მიმართულებების რეგულაცია განხორციელდეს კანონით განსაზღვრული, შესაბამისი უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ზემოხსენებული მიმართულების ფარგლებში იგულისხმება მხოლოდ მოქმედ კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტების მომზადება. ნორმატიული აქტები, რომლებიც საჭიროებს ცვლილებებს (ასევე საკითხები, რომელიც საჭიროებს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებით დარეგულირებას) განხილულია შემდგომ, თემატურობის მიხედვით.

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორში კონკურენტული
გარემოს ჩამოყალიბებისა და საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო
ტექნოლოგიების/მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა

ფართოზოლოვანი შესაძლებლობების მქონე ქსელების დანერგვისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის, ისევე, როგორც კომისიის, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვის ხელშეწყობითი ბარიერების აღმოფხვრა/შემცირებასთან ერთად, ასევე, მოიაზრება სერვის-დეფიციტურ რეგიონებში ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვის სტიმულირება ისეთი მექანიზმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საბაზრო პრინციპებს და გამორიცხავს ბაზარზე უხეშ ჩარევასა და კონკურენციის ხელყოფას.

ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვა დიდ ინვესტიციებთან არის დაკავშირებული. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი (60-80%) კი მოდის სამშენებლო სამუშაოებსა (მაგ. გზების გათხრა/საფარის დაგება) და პასიურ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე (სატელეკომუნიკაციო ჭები და ანძები), რომელთა ხარჯების შემცირებაც ხელს უწყობს ფართოზოლოვანი ქსელების ნაკლები დანახარჯებითა და სწრაფი ტემპებით დანერგვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპის პარლამენტმა 2014 წლის 15 მაისს მიიღო დირექტივა (N°2014/61/EU) მაღალსიჩქარიანი სატელეკომუნიკაციო ქსელის მშენებლობის ხარჯების შემცირების ღონისძიებების შესახებ, რომელიც ეყრდნობა ევროპის ფარგლებში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას და მოიცავს ოთხ ძირითად ასპექტს:

- მაღალსიჩქარიანი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის აგების მსურველი ოპერატორების დაშვების (საზიარო დაშვება) უზრუნველყოფა არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან (რომელიც სატელეკომუნიკაციო ჭებსა და ანძებთან ერთად მოიცავს ელექტროგადამცემ, გაზომარაგებისა და ყველა სხვა სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, რომელიც გამოყენებადია სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის) და ამგვარი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- დაგეგმილი სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების (მაგ.: გზების გათხრა/საფარის დაგება, ხიდების/ესტაკადების მშენებლობა) ეფექტური კოორდინაცია და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- მშენებარე სახლების შიდა ფიზიკური სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით (მინი-საკომუნიკაციო ჭები/დაშვების წერტილები) აღჭურვა (ე.წ. „in-building infrastructure“) და მათზე ოპერატორების დაშვების უზრუნველყოფა;
- ერთი საინფორმაციო პირის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დაშვების პროცედურებისა და სამოქალაქო სამუშაოების წარმართვის შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდებას და შესაბამისი დაშვების/მშენებლობის უფლებების გაცემას.

ზემოხსენებული საკითხების ქართულ ბაზარზე დარეგულირება მოითხოვს მთავრობის აქტიურ ჩართულობასა და სხვადასხვა უწყებების კოორდინირებულ მუშაობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანი ნორმატიული ბაზის შემუშავება. აღნიშნული ბაზა უნდა მოიცავდეს სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებადი

ინფრასტრუქტურის განმარტებით, მარეგულირებელ და ქონებრივ (მარეგისტრირებელი) ასპექტებს და ემყარებოდა სახელმწიფო უწყებების ერთიან მიდგომას. ნორმატიული ჩარჩოს შემუშავების მიზნით გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები და კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კვლავ გააგრძელებს სხვადასხვა უწყებებთან შეხვედრებში მონაწილეობას აღნიშნული საკითხის კოორდინირებულად გადაწყვეტის მიზნით.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთგვაროვან სანებართვო სისტემას, რომელიც მოიცავს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განსათავსებლად საჭირო სახელმწიფო ნებართვების ერთი ფანჯრის პრინციპით გაცემას, ისევე როგორც შესაბამისი ტექნიკური ნორმების განსაზღვრასა და ერთგვაროვან სატარიფო პოლიტიკას.

კომისიამ დაიწყო მუშაობა ციფრული რუქის შექმნაზე, სადაც ამჟამად დატანილია ინფორმაცია: ა) ადმინისტრაციული ერთეულების ჭრილში ფიქსირებულ მისამართზე მიწოდებული სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებების (ტექნოლოგიების ჭრილში) მიმღები მომხმარებლების რაოდენობის შესახებ; ბ) მაგისტრალური და შიდამაგისტრალური ოპტიკური და რადიო-სარელეო ხაზების ჩართვის წერტილების, მათი გამტარუნარიანობის და დაკავებული და თავისუფალი რესურსის შესახებ.

ასევე, იგეგმება ოპტიკური მაგისტრალების (შიდამაგისტრალების) მარშრუტების გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ ინფორმაციის, სატელეკომუნიკაციო ანძების განთავსების კოორდინატების, საკომუნიკაციო/საკანალიზაციო ჭების მდებარეობისა და შესაბამისი დატვირთული/თავისუფალი რესურსის შესახებ ინფორმაციის, ისევე როგორც სადენიანი ადგილობრივი დაშვების ქსელისა და მობილური/უსადენო ქსელებით (ტექნოლოგიების ჭრილში) დაფარვის ზონების შესახებ დეტალური მონაცემების ციფრულ რუკაზე დატანა.

დამატებით, კომისია გეგმავს განახორციელოს სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ქსელებისა და შესაბამისი ტევადობების კვლევა და საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე მოთხოვნა/მიწოდების კუთხით არსებული მდგომარეობისა და მომავალი საჭიროებების ანალიზი, რაც თავის მხრივ:

- ა) ხელს შეუწყობს კომისიას და მთავრობას ნათლად დაინახონ სერვის-დეფიციტური რეგიონები და ოპტიმალურად დაგეგმონ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის/ქსელების შემდგომი განვითარებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები;
- ბ) დაეხმარება საკომუნიკაციო ქსელის აგებისა და მომსახურების მიწოდების მსურველ ოპერატორებს ოპტიმალურად დაგეგმონ თავისი ბიზნეს-მოდელი;
- გ) უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურის/ქსელების არასაჭირო დუბლირების თავიდან აცილებას.

სატელეკომუნიკაციო პასიურ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან¹⁸ დაშვების რეგულირება გათვალისწინებულია, ასევე, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონკურენციის წინასწარი რეგულირების (ex-ante regulation) ნორმებით¹⁹, რაც განსხვავებით 2014 წლის დირექტივით განსაზღვრული დაშვების სიმეტრიული ვალდებულებისა²⁰, გულისხმობს ასიმეტრიულ რეგულირებას, კერძოდ: ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კვლევისა და ანალიზის შედეგად

¹⁸ იგულისხმება მხოლოდ სატელეკომუნიკაციო პასიური ფიზიკური ინფრასტრუქტურა და არა ყველა სხვა სამოქალაქო ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყენებადია სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის

¹⁹ წინასწარი რეგულირების ფარგლებში, ასევე, მოიაზრება ქსელის შესაბამის პასიურ და აქტიურ ელემენტებთან დაშვების რეგულაცია, საჭიროების შემთხვევაში

²⁰ დაშვების სიმეტრიული რეგულირების დროს, დაშვების ვალდებულება ეკისრება ყველა შესაბამის პირს, მიუხედავად მისი ზომა-წონისა და ბაზარზე დაკავებული მდგომარეობისა

გამოვლენილ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე/ოპერატორებზე შესაბამისი დაშვების ვალდებულების²¹ დაკისრების შესაძლებლობას.

ზოგადად კი, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონკურენციის წინასწარი (ex-ante) რეგულირება კომისიის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას განეკუთვნება, რომლის მიზანია ბაზარზე ეფექტური კონკურენციის განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი რეგულირებისას მთავარი სირთულე სწორედ იმ „ოქროს შუალედის“ მოძებნაა, რომელიც ერთი მხრივ, ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანითა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების ადექვატური და თანაზომადი რეგულირებით და მეორე მხრივ, მინიმალური ჩარევითა და ოპერატორების მიერ ჩადებულ ინვესტიციებზე გონივრული უკუგების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ინვესტიციების განხორციელების წახალისებასა და ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურებების დანერგვის ხელშეწყობას.

კომისიის უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე ქსელურ დონეზე კონკურენციის განვითარებას, სადაც დაშვებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ზომები გატარებული იქნება, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე დაბალ საბითუმო დონეზე (როგორც არის პასიურ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვება, მაგ: საკომუნიკაციო-საკანალიზაციო ჭები და ანძები), რათა ხელი შეეწყოს ფართოზოლოვან ქსელურ ინფრასტრუქტურაში ხარჯების კუთხით ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელებასა და კონკურენტუნარიანი ფართოზოლოვანი ქსელების ფორმირებას. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კვლევა და ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე (მათ შორის კონკრეტულ გეოგრაფიულ სეგმენტზე) ქსელურ დონეზე კონკურენცია ეკონომიკურად გაუმართლებელია და მომსახურების დონეზე კონკურენციის უზრუნველყოფა დროის გონივრულ პერიოდში მიღწევადი არ არის მარეგულირებლის მხრიდან ჩარევის გარეშე, ხორციელდება კონკურენციის ხელშეწყობი დამატებითი რეგულაციების გატარება (მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების სარგებლობაში არსებულ პასიურ და აქტიურ ქსელურ საშუალებებთან ალტერნატიული ოპერატორების დაშვების უზრუნველყოფა), რაც ხელს უწყობს მომსახურების მიწოდების დონეზე კონკურენციის შემდგომ განვითარებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომისია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის წინასწარ რეგულირებას ახორციელებს სწორედ ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილ (მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე) ოპერატორებზე სპეციფიური ვალდებულებების დაკისრების გზით, საქართველოს კანონმდებლობა არ არის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირში დღეს მოქმედ დირექტივებთან²² და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (და შესაბამისად რეგულირების პრაქტიკა) არ ითვალისწინებს 2002 წლის შემდგომ ევროკომისიის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს, კერძოდ:

²¹ მაგალითად, სწორედ წინასწარი რეგულირების ფარგლებში საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის გეოგრაფიულ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს, სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან ერთად, ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში ერთ არხ კილომეტრზე, 100 მმ-იანი კაბელის გატარების მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი თვეში 370 ლარის ოდენობით.

²² 2009 წლის დირექტივით (Directive 2009/140/EC) გარკვეული დამატებები შევიდა დირექტივებში, რომლითაც სპეციფიური ვალდებულებების რიცხვს დაემატა ახალი - ფუნქციონალური სეპარაციის/განცალკევების - ვალდებულება, რომელიც ეროვნულმა მარეგულირებლებმა შესაძლოა დაუწესონ ვერტიკალურად ინტეგრირებულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში. ასევე “ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების” შესახებ კომისიის დადგენილება არ არის სრულ შესაბამისობაში ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ანალიზისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების შესახებ ევროკომისიის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელო დოკუმენტის ნორმებთან.

- ევროკომისიის 2014 წლის რეკომენდაციას (2014/710/EU)²³ ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტების შესახებ;
- ევროკომისიის 2013 წლის რეკომენდაციას (2013/466/EU)²⁴ კონკურენციის უზრუნველყოფისა და ფართოზოლოვან ქსელებში ინვესტიციების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნისათვის არადისკრიმინაციულობის ვალდებულებისა და დანახარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგიების შესახებ;
- ევროკომისიის 2010 წლის რეკომენდაციას (2010/572/EU)²⁵ მომავალი თაობის ქსელებზე (Next Generation Access Networks (NGA)) დაშვების რეგულირების შესახებ;
- ევროკომისიის 2009 წლის (2009/396/EC)²⁶ რეკომენდაციას - ფიქსირებულ და მობილურ ქსელებში ზარის დასრულების ტარიფების რეგულირების შესახებ;
- ევროკომისიის 2005 წლის რეკომენდაციას (2005/698/EC)²⁷ ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვის სისტემების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზნად ისახავს, საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედი კანონქვემდებარე აქტები ევროკომისიის რეკომენდაციებთან და ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ნორმების შესაბამისად განხორციელოს რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის სეგმენტების განსაზღვრა, ანალიზი (მათ შორის დარეგულირებული ბაზრების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში დაწესებული რეგულაციების გაუქმება) და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებზე შესაბამისი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება, ისევე, როგორც სატარიფო რეგულირების დროს გამოიყენოს ევროკომისიის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია.

რაც შეეხება მობილურ/უსადენო ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობასა და ქსელურ დონეზე კონკურენციის უზრუნველყოფას, მოცემული დაკავშირებულია შესაბამისი "ზარისხისა" (ევროპის ფარგლებში ჰარმონიზებული) და რაოდენობის სიხშირულ რესურსზე ოპერატორების ხელმისაწვდომობასთან²⁸. ფიქსირებულ ფართოზოლოვან დაფარვასთან დაკავშირებით მთიან რეგიონებში და სოფლებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მობილური/უსადენო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხელშეწყობისა და სერვის-დეფიციტურ რეგიონებში დანერგვის სტიმულირების საჭიროება, რადგან ახალი თაობის მობილური ტექნოლოგიები მაღალსიჩქარიანი და დაბალფასიანი²⁹ ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას იძლევა.

ევროკავშირის ფარგლებში რადიოსიხშირეთა მართვისა და უსადენო/მობილურ ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფის კუთხით განსაზღვრული სტრატეგიის გათვალისწინებით, 2014 წელს ცვლილებები შევიდა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში³⁰, რომლის შესაბამისადაც კომისიამ განხორციელა GSM და UMTS ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი 900/1800/2100 მჰც სიხშირული დიაპაზონების ლიბერალიზაცია³¹, ოპტიმიზაცია³²,

²³ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014H0710&from=EN>

²⁴ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32013H0466&from=EN>

²⁵ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ.do?uri=OJ:L:2010:251:0035:0048:en:PDF>

²⁶ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:124:0067:0074:EN:PDF>

²⁷ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32005H0698&from=EN>

²⁸ აღნიშნული, თავის მხრივ, უკავშირდება კომისიის ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, კერძოდ, რადიოსიხშირული რესურსის ეფექტიანად მართვის საკითხს, რომელიც შემდგომშია განხილული

²⁹ ფიქსირებულ (საბაზო-საკაბელო) ფართოზოლოვან ქსელთან შედარებით

³⁰ სარეგისტრაციო კოდი (320110000.05.001.017490)

³¹ რადიოსიხშირული დიაპაზონის ლიბერალიზაცია - რადიოსიხშირული დიაპაზონის ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად (ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის თანახმად) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისათვის განკუთვნილი მიწისზედა სისტემებისათვის ეროვნულ დონეზე განაწილება და შესაბამის დიაპაზონში გაცემული ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირება.

800 მჰც დიაპაზონის მობილური/უსადენო სისტემებისათვის განაწილება³³ და 800 მჰც დიაპაზონში 2x10 მჰც სიხშირული რესურსის აუქციონის წესით გაცემა³⁴.

შესაბამისად, დღეს სამი მობილური ოპერატორი³⁵ უკვე LTE ტექნოლოგიით³⁶ ახორციელებს მობილური მომსახურების მიწოდებას; მომავალი 6-18 თვის განმავლობაში დაგეგმილია აუქციონების შემდეგი ეტაპის³⁷ დასრულება, სადაც 800 და 700 მჰც დიაპაზონებში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამოცხადებული აუქციონების ფარგლებში, ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების სერვის-დეფიციტურ რეგიონებში დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, დამატებით, განსაზღვრული იქნება ვალდებულებები.

ყოველივე აღნიშნული კი ხელს შეუწყობს ნათლად განსაზღვრული (განჭკვრეტადი) საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას, ფიქსირებულ/უსადენო ფართოზოლოვან ბაზარზე კონკურენციის შემდგომ განვითარებას, ფართოზოლოვანი ქსელების ფარგლებში არსებული გამტარუნარიანობის შემდგომ ზრდასა და სერვის-დეფიციტური ტერიტორიების ფართოზოლოვანი სადენიანი/უსადენო ქსელებით სწრაფი ტემპითა და ხარჯების კუთხით ეფექტიანად დაფარვას.

როდესაც ვსაუბრობთ ფართოზოლოვანი/ინტერნეტის ქსელებისა და მომსახურების განვითარების ხელშეწყობაზე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ინტერნეტ ურთიერთჩართვის საკითხს. თუ გადავხედავთ მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტის განვითარებასთან ერთად IXP-ების ზრდის მაჩვენებელს, ნათელია, რომ ინტერნეტ ურთიერთჩართვის წერტილი ფართოზოლოვანი (ინტერნეტ) ინფრასტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს:

- ადგილობრივი ინტერნეტ ოპერატორების კონკურენტუნარიანობას (ერთი დაშვების წერტილით ა) ქვეყნის ფარგლებში არსებულ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებთან და კონტენტის მიმწოდებელ ქსელებთან (CDN) ინტერნეტ ტრაფიკის პირდაპირ ურთიერთგაცვლას (ფასიან და უფასო პირინგს) და ბ) ტრანზიტული³⁸ მომსახურების შესყიდვას);
- ტრანზიტულ ინტერნეტ ბაზარზე კონკურენციის განვითარებას;
- მოთხოვნადი გლობალური და ადგილობრივი ტრაფიკის ლოკალიზებას (მიწოდებული ინტერნეტ ხარისხის გაუმჯობესებას)

³² რადიოსიხშირული დიაპაზონის ოპტიმიზაცია - დიაპაზონის ფარგლებში რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით რადიოსიხშირულ ბლოკებზე დაშვება და თავისუფალი სიხშირული რესურსის მიყოლებით ბლოკებში გაერთიანება, რაც თავის მხრივ, საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის იმავე რადიოსიხშირული დიაპაზონის ფარგლებში არსებული იმავე ოდენობის სხვა რადიოსიხშირული რესურსით შეცვლას

³³ ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისათვის განკუთვნილი მიწისზედა სისტემებისათვის განაწილება

³⁴ ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების სერვის-დეფიციტურ რეგიონებში დანერგვის სტიმულირების მიზნით კომისიამ, 800 მჰც დიაპაზონში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამოცხადებული აუქციონის ფარგლებში, ლიცენზიის ერთ-ერთ პირობად განსაზღვრა: მინიმუმ 2 მბტ/წმ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობისათვის, სადაც პოპულაცია 5000-ზე ნაკლებია.

³⁵ შპს „მაგთიკომი“ და შპს „ჯეოსელი“ - მათ სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპების შესაბამისად მოდიფიცირების შედეგად და შპს „მობიტელი“ ახალი, 800 მჰც დიაპაზონის გამოყენებით


³⁶ LTE (Long Term Evolution) - მე-4 თაობის უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგია, რომელიც მონაცემთა სწრაფი გადაცემის საშუალებას იძლევა

³⁷ დამატებით ხელმისაწვდომი გახდება- 800 მჰც დიაპაზონში 2x20 ან 2x15 მჰც; 900 მჰც დიაპაზონში 2x4.5 მჰც; 1800 მჰც დიაპაზონში 2x5 მჰც; 2100 მჰც დიაპაზონში 2x15 მჰც; 700 მჰც დიაპაზონში 2x30 მჰც, რომელიც გამოთავისუფლდება 2015 წლის ბოლოსთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო არხების გასავრცელებლად განკუთვნილი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ფარგლებში გამოყენებული დროებითი, 700 მჰც დიაპაზონში არსებული სიხშირული რესურსის ჩანაცვლების შემდგომ.

³⁸ ტრანზიტული ურთიერთჩართვა წარმოადგენს ორმხრივ საბითუმო შეთანხმებას, რომლის შესაბამისადაც ტრანზიტის მომსახურების მიმწოდებელი ინტერნეტ პროვაიდერი, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, უზრუნველყოფს ინტერნეტ პროვაიდერისა და მის ქსელში ჩართული კონტენტის მწარმოებლის/მომხმარებლის/ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლის დაკავშირებას ინტერნეტ ქსელში ჩართულ ყველა რესურსთან და აღმავალი/დადმავალი ტრაფიკის ურთიერთჩართვის წერტილამდე მიწოდებას.

- ქსელებისა და მომსახურების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ერთიანი ნორმების დანერგვას/სტანდარტიზებული უსაფრთხოების ნორმებით ურთიერთჩართვის უზრუნველყოფას.

ინტერნეტის განვითარება და IXP-ების რაოდენობა



შესაბამისად, აუცილებელია, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მინიმუმ ერთი ამგვარი ურთიერთჩართვის წერტილი; ხოლო თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოსტრატეგიულ მდებარეობას და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში IXP-ის კუთხით არსებულ სიტუაციას, ცალსახაა, რომ საქართველოს IXP-ი რეგიონში საკვანძო როლს შეასრულებს, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის წერტილი მაღალი სტანდარტების შესაბამისად და ნეიტრალურ საფუძველზე იქნება ფორმირებული.



კონკურენცია და ფართოზილოვანი (ინტერნეტ) ქსელები//ინფრასტრუქტურა/მომსახურება

1

ზემოაღნიშნული მიმართულების ეფექტურად განხორციელების მიზნით, კომისია გეგმავს:

1.1

აქტიურად განაგრძოს სხვადასხვა უწყებებთან შეხვედრებში მონაწილეობა მაღალსიჩქარიანი სატელეკომუნიკაციო ქსელების მშენებლობისა და ხარჯების შემცირების ხელშეწყობი ნორმატიული ბაზის შემუშავების უზრუნველსაყოფად

1.2

შეიმუშავოს სრულყოფილი სატელეკომუნიკაციო ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და ქსელების ამსახველი ციფრული რუქა

1.3

განახორციელოს სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ქსელებისა და შესაბამისი ტევადობების კვლევა და საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე მოთხოვნა/მიწოდების კუთხით არსებული მდგომარეობისა და მომავალი საჭიროებების ანალიზი.

1.4

შესაბამისობაში მოიყვანოს ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” შესახებ კომისიის დადგენილება და ”ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების” შესახებ კომისიის დადგენილება ევროკომისიის მიერ გამოცემულ ზემოხსენებულ რეკომენდაციებთან.

1.5

შეიმუშავოს დაშვებისა და ურთიერთჩართვის, მათ შორის მომავალი თაობის (NGA) ქსელებზე ალტერნატიული ოპერატორების დაშვების პირობების (ტექნიკური პირობების ჩათვლით) ერთიანი მეთოდოლოგიური წესები.

1.6

ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ნორმების შესაბამისად განახორციელოს ბაზრის სეგმენტების განსაზღვრა, ანალიზი და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე/ოპერატორებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება.

1.7

უზრუნველყოს მობილური/უსადენო სისტემებისათვის განკუთვნილი (700/800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში) ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსის აუქციონის წესით გაცემა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნება მობილურ/უსადენო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისა და სერვის-დეფიციტური ტერიტორიების ფართოზოლოვანი ქსელებით დაფარვის საკითხი

1.8

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიმუშავოს საქართველოში IXP-ის ფორმირების ხელშეწყობის საკითხებზე სარეკომენდაციო დოკუმენტი და აქტიურად განაგრძოს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებთან კონსულტაციები, რათა ხელი შეუწყოს არამომგებიანი, ინტერნეტ პროვაიდერების მიერ დაფუძნებული, IXP-ის ფორმირებას

ინტერნეტის წარმატება მისი ღია და გლობალური მახასიათებლების დამსახურებაა, რომელიც საშუალებას იძლევა ღია ინტერნეტ პლატფორმით მიწოდებულ იქნეს ნებისმიერი სახის ელექტრონული მომსახურება/კონტენტი (აპლიკაცია), რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ელექტრონული მომსახურების/კონტენტის მიმწოდებლების ბაზარზე შესვლის დაბრკოლება და ინოვაციური მომსახურებების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის ღია და გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, ინტერნეტის მმართველობის ფარგლებში ერთ-ერთ მთავარ სირთულეს წარმოადგენს ინტერნეტის (ე.წ. „online“) სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხი, რომელიც განაპირობებს ელექტრონული მომსახურების ბაზარზე კონკურენტული და ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებასა და შესაბამისად ხელს უწყობს ელექტრონული მომსახურებების შემდგომ განვითარებას.

ინტერნეტის სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხი მრავალ ასპექტს მოიცავს და მარეგულირებლის ცალსახა ფუნქციას არ წარმოადგენს; ე.წ. „online“ სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასთან ერთად საჭიროა მონიტორინგისა და აღსრულების ეფექტური და აპრობირებული მექანიზმების შემუშავება/დანერგვა, რაც თავის მხრივ, მოითხოვს სხვადასხვა სამთავრობო უწყებების კოორდინირებულ მუშაობასა და მთავრობის აქტიურ ჩართულობას. ზემოაღნიშნულ საკითხზე მუშაობის დაწყების ინიცირების მიზნით, კომისია გეგმავს შეისწავლოს ინტერნეტის ფარგლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის (მონიტორინგისა და აღსრულების) კუთხით ევროპის ქვეყნებში არსებული და აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკა, შეიმუშაოს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი და წარუდგინოს მთავრობასა და ბაზრის მონაწილეებს შემდგომი განხილვისათვის.

„Online“ სივრცე და საავტორო და მომიჯნავე უფლებები

2

2.1

ევროპის პრაქტიკაზე დაყრდნობით ინტერნეტის ფარგლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის (მონიტორინგისა და აღსრულების) საკითხებზე სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის შემუშავება და შემდგომი განხილვისათვის მთავრობასა და ბაზრის მონაწილეებისათვის წარდგენა

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად იცვლება საეთერო ტელემაუწყებლობის სექტორში არსებული ბიზნეს-მოდელი და ღია საეთერო ბაზარზე დაშვების წესები. სატელევიზიო კონტენტის ღია საეთერო ქსელით გავრცელების უფლება იმიჯნება ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელებით უზრუნველყოფის საქმიანობისაგან. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ უკვე არეგულირებს ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ციფრული მიწისზედა ტელემაუწყებლობისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის მართვის, გაცემისა და გამოყენების წესებს, ხოლო ამჟამად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე, რაც თავის მხრივ, დაარეგულირებს ტელემაუწყებელთა ბაზარზე დაშვების (ავტორიზაციის), ციფრულ

მიწისზედა საეთერო სატელევიზიო ქსელში ტელემაუწყებელთა განთავსების, კონცენტრაციის აკრძალვისა და სავალდებულო ტრანზიტის საკითხებს.

დღეს საქართველოში, ჯამში 75-ზე მეტი - 3 ეროვნული, 32 ადგილობრივი ანალოგური საეთერო და 40-მდე ავტორიზებული³⁹ (40-დან 5 ასევე თანამგზავრით ვრცელდება) ტელე-მაუწყებელი ფუნქციონირებს, რომლებიც სხვადასხვა ღია (ანალოგური ღია საეთერო და ღია სატელიტური) თუ დახურულ სამაუწყებლო პლატფორმებში განთავსების გზით, ასევე, ღია ინტერნეტით, უზრუნველყოფენ აბონენტების წვდომას მათ მიერ წარმოებულ კონტენტზე. (2014 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით) სხვადასხვა ტიპის ფასიანი (საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მართვადი) სატელევიზიო (pay-TV) პლატფორმით (თანამგზავრი, მართვადი IPTV, MMDS, მიტრისი, კოაქსიალი) 497,300 აბონენტი სარგებლობს, რომლის პენეტრაცია ოჯახების რაოდენობის მიხედვით 39%-ს შეადგენს. ფიქსირებული ფართოხოლოვანი (ინტერნეტ) მომსახურებით საქართველოს ოჯახების 42.2% სარგებლობს, რომლებსაც, დამატებით, შესაძლებლობა აქვთ ღია ინტერნეტით მიიღონ მაუწყებლობის მომსახურება, ხოლო ახალი მობილური ფართოხოლოვანი (LTE) ტექნოლოგიის განვითარებასთან (ასევე, სერვის-დეფიციტური რეგიონების ახალი მობილური ქსელებით დაფარვასთან) ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება ღია ინტერნეტით მაუწყებლობის მომსახურების მიღების შესაძლებლობის მქონე მომხმარებლების რიცხვი.

სერვის დეფიციტურ ტერიტორიებზე მცხოვრები და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის მქონე პირების სატელევიზიო კონტენტზე წვდომის (უნივერსალური სატელევიზიო მომსახურებით) უზრუნველყოფის კუთხით, ღია ეთერით გავრცელება მაუწყებლების მხრიდან ისევე მოთხოვნად მიმართულებად რჩება.

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ მინიმუმამდე შემცირდება ღია საეთერო სატელევიზიო ბაზარზე შესვლის დაბრკოლება და მულტიპლექს პლატფორმების ფარგლებში არსებული რესურსი, კომისიის ვარაუდით, სრულად დააკმაყოფილებს ტელემაუწყებლების მხრიდან მიწისზედა ციფრულ პლატფორმებში ღია ეთერით გავრცელებაზე არსებულ მოთხოვნას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კომისია მიიჩნევს, რომ საჭიროა შემუშავდეს ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმებში მაუწყებლების დაშვების ერთიანი სახელმძღვანელო წესები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მაუწყებლების მიმართ არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი მიდგომა და კონკურენტული გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამაუწყებლო სექტორში ახალი მარეგულირებელი ნორმების (საკანონმდებლო ცვლილებების) შემუშავებისას, მათ შორის „must carry“ და „must offer“ ვალდებულებების განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მიწისზედა ღია საეთერო მაუწყებლობაში განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებები, ასევე ფასიანი სატელევიზიო პლატფორმების ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, რათა **საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით განხორციელდეს სატელევიზიო სექტორში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება**, სადაც, ამავდროულად, დაცული იქნება მომხმარებელთა ინტერესები მრავალფეროვან და პლურალისტულ სამაუწყებლო კონტენტზე წვდომის კუთხით.

³⁹ დამატებით ტელემაუწყებლობაზე ავტორიზაცია გავლილი აქვს 30-ზე მეტ პირს, თუმცა დღეს არ ახორციელებენ მაუწყებლობას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია გეგმავს:

3.1

აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის სრულყოფაში, რომელიც დაარეგულირებს ტელემაუწყებელთა ბაზარზე დაშვების, ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო ქსელში ტელემაუწყებელთა განთავსების, კონცენტრაციის აკრძალვისა და სავალდებულო ტრანზიტის/შეთავაზების საკითხებს.

3.2

შეიმუშავოს ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმებში მაუწყებლების დაშვების ერთიანი სახელმძღვანელო წესები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მაუწყებლების მიმართ არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი მიდგომა და კონკურენტული გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვა

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს.

ევროდირექტივების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პარალელურად, საჭიროა განხორციელდეს კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება/მიღება, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებები, ისევე, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და საქართველოს ბაზრის თავისებურებები;

მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით კი თანამედროვე ეპოქაში უდიდესი ყურადღება ეთმობა ინტერნეტის ღიაობის/ნეიტრალიტეტისა (Net neutrality) და ინტერნეტ-მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხს.

2009 წელს ევროკავშირის „ჩარჩო დირექტივაში“ შევიდა ცვლილება (მუხლი 8(4)(g)) და ინტერნეტის საკითხთან დაკავშირებით ნათლად განისაზღვრა, რომ „ეროვნულმა მარეგულირებლებმა უნდა უზრუნველყონ ბოლო მომხმარებლების⁴⁰ შესაძლებლობა, მათი არჩევანის შესაბამისად მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია და მიიღონ და გამოიყენონ მათ მიერ არჩეული მომსახურება თუ აპლიკაცია (application)“. ასევე „უნივერსალური მომსახურების“ დირექტივაში (მუხლი 20 და 21) შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები და მარეგულირებლის უფლებამოსილებები; კერძოდ, თუ რას უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და რა სახის უფლებამოსილება გააჩნია მარეგულირებელს მომსახურების ხარისხისა თუ ტრაფიკის მართვასთან დაკავშირებით კონკრეტული და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპარლამენტმა დამატებით გაითვალისწინა ის საკითხიც, რომ მხოლოდ მომსახურების მიმწოდებელთა მიერ ტრაფიკის მართვის, მომსახურების ხარისხისა და შესაბამისი პარამეტრებისა თუ შეზღუდვების შესახებ თუნდაც ადეკვატური და მართებული ინფორმაციის მომხმარებლებისათვის მიწოდება, ისევე, როგორც მარეგულირებლის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის მონიტორინგი. შესაძლებელია, არ აღმოჩნდეს საკმარისი ბოლო მომხმარებლების უფლებების დასაცავად, ინტერნეტის ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მარეგულირებელ ორგანოებს მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილება: კერძოდ: „უნივერსალური მომსახურების“ დირექტივის 22-ე მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა შემდეგი: „იმისათვის რომ თავიდან იყოს აცილებული ხარისხის დეგრადაცია და ტრაფიკის სიჩქარის შემცირება ან შეფერხება, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ უფლებამოსილება (საჭიროების შემთხვევაში) დაუწესონ მომსახურების მიმწოდებელს/მიმწოდებლებს მომსახურების ხარისხის სავალდებულო მოთხოვნები, რათა საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ფარგლებში არსებული მომსახურება და აპლიკაცია მიწოდებულ იქნეს განსაზღვრული/დადგენილი ხარისხის სტანდარტით.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული საკითხის (ანუ ინტერნეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნეტის ღიაობის, ნეიტრალიტეტის) რეგულაცია საკმაოდ რთულ, კომპლექსურ და გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებულ საკითხს წარმოადგენს, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ინტერნეტის არქიტექტურა, ტრაფიკის მართვისა და მომსახურების მიწოდების სხვადასხვა პრაქტიკა, შემდგომი განვითარების ტენდენციები და კონკურენციის ხელშემწყობი თუ შესაძლო ხელშემშლელი ფაქტორები, ევროკომისიამ მიმართა BEREC-ს⁴¹ (Body of European Regulators for Electronic Communications), რომელმაც, თავის მხრივ, შეიმუშავა რეკომენდაციები და შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც რეკომენდებულია იხელმძღვანელონ მარეგულირებლებმა, მათ შორის ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგის განხორციელებისას.

მოცემული მიმართულებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინტერნეტ მომსახურების ხარისხის შესახებ სტანდარტიზებული, აზონენტებისათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული იმ პარამეტრების ჩამონათვალი, რომელთა გამჭვირვალობაც უნდა უზრუნველყონ (ხელშეკრულებებში უნდა ასახონ) ინტერნეტ პროვაიდერებმა და დაინერგოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რაც:

⁴⁰ევროკომისია და ევროპარლამენტი ისევე, როგორც BEREC-ი ინტერნეტის ფარგლებში ბოლო მომხმარებელად ტრადიციულ ფიზიკურ და იურიდიულ მომხმარებლებთან ერთად, ასევე მიიჩნევს კონტენტისა და აპლიკაციების მწარმოებლებსაც (ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლებს).

⁴¹ BEREC-ი ევროგაერთიანების ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანება, რომელიც დაფუძნდა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით (REGULATION (EC) No 1211/2009 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 November 2009 establishing the Body of European Regulators for Electronic Communications (BEREC) and the Office.

- 1) საშუალებას მისცემს აბონენტებს თითოეული ოპერატორის ჭრილში მიიღონ მართებული, ადეკვატური და ურთიერთშედარებადი ინფორმაცია მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის შესახებ და მიიღონ გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება მომსახურების მიმწოდებლის/სამომხმარებლო პაკეტის არჩევის დროს;
- 2) საშუალებას მისცემს თავად ოპერატორებს, რეალურად დაინახონ და აღმოფხვრან ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ასევე, ხელს შეუწყობს ინტერნეტ პროვაიდერთა შორის კონკურენციის გამძაფრებას და შესაბამისად, მიწოდებული ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას;
- 3) საშუალებას მისცემს კომისიას საქართველოში ფართოზოლოვანი ქსელებისა და ინტერნეტ მომსახურების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე განახორციელოს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგი, დააკვირდეს ინტერნეტ ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, მიიღოს პრევენციული ზომები, რათა არ მოხდეს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის მიერ ტრაფიკის არაობიექტურად დიფერენცირება და ღია ინტერნეტით მიწოდებული სხვადასხვა სახის მომსახურებისა თუ აპლიკაციის (application) ბლოკირება, შეზღუდვა ან სიჩქარის ხელოვნურად ლიმიტირება, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში გამოავლინოს ამგვარი ფაქტები და მიიღოს შესაბამისი გონივრული და იდენტიფიცირებული პრობლემის თანაზომადი გადაწყვეტილება.

*მომხმარებელთა ინფორმირება და
მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა*

1

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კომისია გეგმავს:

1.1

უზრუნველყოს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება/მიღება;

1.2

შეიმუშაოს ინტერნეტ მომსახურების ხარისხის შესახებ სტანდარტიზებული, აბონენტებისათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული იმ პარამეტრების ჩამონათვალი, რომელთა გამჭვირვალობაც უნდა უზრუნველყონ (ხელშეკრულებებში უნდა ასახონ) ინტერნეტ პროვაიდერებმა;

1.3

შეიმუშაოს ფიქსირებული და მობილური ქსელებით მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგის ოპტიმალური მეთოდოლოგია და განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელოს ფიქსირებული და მობილური ქსელებით მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგი

გარდა იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში უდიდესი ყურადღება ეთმობა ფართოზოლოვანი ქსელებით ქვეყნის დაფარვის უზრუნველყოფასა და ღია ინტერნეტით მიწოდებული ელექტრონული მომსახურებებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნას, თანამედროვე ეპოქაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების სანდოობის, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ერთიანობის უზრუნველყოფის, ისევე როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი.

ფართოზოლოვანი მომსახურება დღეს (ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და გაზომომარაგების მსგავსად) პირველადი რიგის მომსახურებათა ჩამონათვალს განეკუთვნება, რასაც თანამედროვე საზოგადოება ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველწამიერად, აქტიურად მოიხმარს და რომლის უსაფრთხოებისა და სანდოობის საჭიროებაც დღითიდღე იზრდება ელექტრონული მომსახურებების ფარგლების ზრდასთან და ე.წ. „Cloud computing“-ისა და „Internet of things“⁴²-ის განვითარებასთან ერთად.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ევროპარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. „Telecoms Reform Package“⁴³-ით „ჩარჩო დირექტივას“ დაემატა 13a და 13b მუხლები, რომლებიც ეხება ქსელების უსაფრთხოებისა და ერთიანობის კუთხით ქსელების/მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულებებსა და მარეგულირებლებისა და ევროკომისიის უფლებამოსილებებს. კერძოდ, დირექტივის 13a მუხლით განისაზღვრა, რომ საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების მიმწოდებლებმა, ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ადექვატურად მართვის მიზნით, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ტექნიკური და საორგანიზაციო ზომების გატარება, რათა არ დაუშვან და შეამცირონ უსაფრთხოების კუთხით არსებული რისკები და ინციდენტები ურთიერთჩართული ქსელებისა და მომსახურებლების მიმართ. ასევე, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქსელის ერთიანობა და ქსელით მიწოდებული მომსახურების უწყვეტობა. დამატებით, ევროკომისია 13a მუხლით განსაზღვრული ზომების ჰარმონიზაციის მიზნით, უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი ტექნიკური ნორმები ENISA⁴⁴-ს (ქსელებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების ევროგაერთიანების სააგენტო) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით;

„ჩარჩო დირექტივის“ 13b მუხლით კი განისაზღვრა, რომ ეროვნულ მარეგულირებლებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, 13a მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორებსა და მომსახურების მიმწოდებლებს განუსაზღვრონ სავალდებულო ინსტრუქციები, შესაბამისი ზომების გატარების ვადების ჩათვლით.

2010 წელს ENISA-მ, ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფი, მარეგულირებლების წარმომადგენლების ჩათვლით, რომლის ფარგლებშიც 2011/2014 წლებში 13a მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოიცა ორი ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტი:

- ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტი უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით და
- ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების ანგარიშგების თაობაზე.

⁴² Internet of Things (IoT) -მომავლის ტექნოლოგია და ბაზრის განვითარების ტენდენცია, როდესაც ყველა სამომხმარებლო მოწყობილობა (დაწყებული სმარტფონიდან დამთავრებული ავტომანქანითა და ყავადანით) ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებულია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან/სერვერთან/ერთმანეთთან, რაც ნებისმიერი ამგვარი მოწყობილობის დისტანციური მართვის საშუალებას იძლევა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. <https://ec.europa.eu/digital-agenda/en/internet-things>

⁴³ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:337:FULL:EN:PDF>

⁴⁴ ENISA -the European Union Agency for Network and Information Security დაარსებული ევროკომისიის მიერ

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების/მომსახურების სანდოობის მეორე უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი, რომელიც ევროპის ფარგლებში დარეგულირებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2002/58/EC დირექტივით (რომელშიც ცვლილებები შევიდა 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/136/EC დირექტივით). ზემოაღნიშნული დირექტივის შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება საქართველოს მთავრობის №59 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, კომისიის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

№2002/58/EC დირექტივით განსაზღვრულია მომხმარებლების მონაცემების მართვის, კონფიდენციალურობის დაცვის, ქსელებისა და მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულებები, ისევე, როგორც ე.წ. „სპამის“ (მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის განხორციელებული არასასურველი შეტყობინებების) და საცნობარო მომსახურების სეგმენტის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვისა და რეგულირების საკითხებში შესაბამისი პირებისა და უწყებების უფლება-ვალდებულებები.

2014 წელს კომისიამ დაიწყო მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, შეისწავლა მობილურ და ფიქსირებულ სატელეფონო სეგმენტზე არასასურველი შეტყობინებების რეგულირების ევროპული პრაქტიკა და გეგმავს შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული რადიო მოწყობილობების ბაზარზე დაშვების საკითხის რეგულირება, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში 2014/53/EU დირექტივის საფუძველზე რეგულირდება და რომელმაც 2014 წლის 16 აპრილს ჩაანაცვლა წლების მანძილზე მოქმედი 1999/5/EC ე.წ R&TTE დირექტივა.

შესაბამისად მნიშვნელოვანია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის 2014/53/EU დირექტივის საფუძველზე შემუშავდეს რადიო მოწყობილობების ბაზარზე დაშვების დადგენილების ახალი პროექტი⁴⁵, რომელიც დაარეგულირებს საქართველოში რადიო მოწყობილობების ბაზარზე განთავსების, მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებისა (სერტიფიცირების) და მომსახურებაში დაშვების წესებს.



ქსელების უსაფრთხოება, რადიო მოწყობილობების სტანდარტებთან შესაბამისობა და პერსონალური მონაცემების დაცვა

2

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია გეგმავს:

2.1

გამოიკვლიოს ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებული მდგომარეობა; შეისწავლოს ქსელების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ევროკავშირში არსებული პრაქტიკა და შეიმუშაოს საკონსულტაციო დოკუმენტი ბაზრის მონაწილეებთან და შესაბამის უწყებებთან ერთად შემდგომი განხილვის მიზნით;

2.2

საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შესაბამის სამთავრობო უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირებას;

2.3

შეიმუშაოს სარეკომენდაციო დოკუმენტი, რომელიც ასახავს პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ევროპის ფარგლებში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკას;

2.4

შეიმუშაოს რადიო მოწყობილობების ბაზარზე დაშვების დადგენილების ახალი პროექტი (რომელიც დაარეგულირებს საქართველოში რადიო მოწყობილობების ბაზარზე განთავსების, მოთხოვნებთან (სტანდარტებთან) შესაბამისობის დადასტურების (სერტიფიცირების) და მომსახურებაში დაშვების წესებს) და წარუდგინოს მთავრობას შემდგომი განხილვისათვის.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა დღეს არ ითვალისწინებს ევროპის ფარგლებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით წლების მანძილზე დანერგილ და აპრობირებულ კონცეფციას, კერძოდ, მომხმარებლების უნივერსალური საკომუნიკაციო მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხს⁴⁶. უნივერსალური საკომუნიკაციო მომსახურება კი პირველ რიგში გულისხმობს ქვეყნის (შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის) მიერ განსაზღვრულ იმ მინიმალური, კონკრეტული ხარისხის მომსახურებების ერთობლიობას, რომელზეც წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა მომხმარებელს, მიუხედავად მომხმარებლების საცხოვრებელი ადგილისა, ხანდაზმულობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სოციალურად დაუცველობისა. „ასოცირების შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის „უნივერსალური მომსახურების შესახებ“ №2002/22/EC დირექტივასთან

⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, კერძოდ, მე-2 თავის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ამოცანაა „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლებისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის) ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და სატარიფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“, აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად კომისიას არ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილებები. კერძოდ, კანონი არ ითვალისწინებს უნივერსალური მომსახურების ცნებას, მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირისათვის უნივერსალური მომსახურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას, რომლის ფარგლებშიც, საერთაშორისო პრაქტიკით, ხორციელდება ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების სახეობზე ბოლო მომხმარებლისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა. აგრეთვე არ არსებობს, ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მისი დაფინანსების მექანიზმი.

შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, კომისიის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

მოცემული დირექტივა არეგულირებს და განსაზღვრავს უნივერსალური მომსახურების უზრუნველყოფის მხოლოდ ზოგად წესებს, რომლის ფარგლებშიც თითოეული ქვეყანა, თავისი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დირექტივაში გაწერილი პრინციპების⁴⁷ გათვალისწინებით, უზრუნველყოფს უნივერსალური საკომუნიკაციო მომსახურების სახეების განსაზღვრას, ხარისხის დადგენას, უნივერსალური მომსახურების განმახორციელებელი ოპერატორის/ოპერატორების შერჩევის წესისა (მათ შორის ვალდებულების დაკისრების წესის) და უნივერსალური მომსახურების განმახორციელებელი ოპერატორის წმინდა ხარჯების⁴⁸ დაფინანსების მექანიზმების (ასევე წმინდა ხარჯების დაანგარიშების მეთოდოლოგიის) განსაზღვრას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ მე-5 1.1 და 1.5 პუნქტებით, რომლებიც ეხება „შშმ პირთა ელექტრონული სერვისების საჭიროებებისა და მათი განვითარების შესაძლებლობების შესწავლას“ და „შშმ პირთათვის ადაპტირებული საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობებისა და სისტემების დაგეგმვის, წარმოებისა და გავრცელების მიზნით, მარეგულირებელი ნორმების შემუშავებას“⁴⁹, კომისია განსაზღვრულია ერთ-ერთ პასუხისმგებელ უწყებად.



მომხმარებლების (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) ეფექტიანი უნივერსალური მომსახურებით უზრუნველყოფისა და კარგად გააზრებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით, კომისია გეგმავს:

3.1

შეისწავლოს ევროპის ფარგლებში არსებული პრაქტიკა უნივერსალური საკომუნიკაციო მომსახურების სახეების (მინიმალური ხარისხის) განსაზღვრის, უნივერსალური მომსახურების განმახორციელებელი ოპერატორის შერჩევის (მათ შორის ვალდებულების დაკისრების) წესისა და უნივერსალური მომსახურების განმახორციელებელი ოპერატორებისათვის წმინდა ხარჯების დაფინანსების მექანიზმების შესახებ და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მოამზადოს შესაბამისი საკონსულტაციო დოკუმენტი.

⁴⁷ კონკურენციის ხელყოფის დაუშვებლობა, პროპორციულობა, არადისკრიმინაციულობა

⁴⁸ იმ შემთხვევაში, თუ უნივერსალური მომსახურების ფარგლებში მიწოდებული მომსახურებიდან არ ხდება ოპერატორის მიერ გადებული წმინდა ხარჯების ანაზღაურება

⁴⁹ ირივე საკითხი განსაზღვრულია უნივერსალური მომსახურების დირექტივაში 2009 წელს შესული ცვლილებებით.

3.2

შეისწავლოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ექვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობებით უზრუნველყოფის კუთხით ევროპულ ბაზარზე არსებული პრაქტიკა და მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტი.

3.3

უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებისთანავე უზრუნველყოს უნივერსალური მომსახურების შესახებ კანონქვემდებარე აქტის მომზადება/მიღება.

თანამედროვე ეპოქაში ინტერნეტის ფარგლებში მომხმარებლების უფლებების დაცვის კუთხით ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა/ბავშვებისათვის უსაფრთხო online გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ბავშვების უსაფრთხო კონტენტზე წვდომის უზრუნველყოფა და მშობლებისათვის ადექვატური კონტროლის მექანიზმების შექმნა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ევროკომისიამ 2012 წელს გამოსცა დოკუმენტი „**European Strategy for a Better Internet for Children**“, რომლის მიხედვითაც მომსახურების მიმწოდებლების მიერ თვითრეგულირების მექანიზმების დანერგვა მიჩნეულია საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად.

2011 წელს შეიქმნა ნებაყოფლობითი კოალიცია CEO- to make the Internet a better place for kids; 2012 წელს კოალიციის ხელმძღვრმა ნებაყოფლობითმა წევრმა კომპანიებმა⁵⁰ აიღეს ვალდებულება 5 წლის ვადაში შეიმუშაონ თვითრეგულირების მექანიზმები და გადადგან შესაბამისი ნაბიჯები.

დღეს ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში უკვე ფუნქციონირებს ეროვნული ქცევის კოდექსები და შესაბამისი ქსელის/მომსახურების მიმწოდებლები სხვადასხვა მექანიზმებით უზრუნველყოფენ ბავშვების უსაფრთხო ინტერნეტ კონტენტზე წვდომას.

კომისია, არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მიზნით, გეგმავს ჩამოაყალიბოს ბაზრის მონაწილეებისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ევრიპის პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდება ქცევის კოდექსი და ინტერნეტის ფარგლებში არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფი მექანიზმები.

არასრულწლოვანები და ინტერნეტი

4

⁵⁰ კოალიციის ხელმძღვრე წევრები: Apple, BskyB, BT, Dailymotion, Deutsche Telekom, Facebook, France Telecom - Orange, Google, Hyves, KPN, Liberty Global, LG Electronics, Mediaset, Microsoft, Netlog, Nintendo, Nokia, Opera Software, Research In Motion, RTL Group, Samsung, Skyrock, Stardoll, Sulake, Telefonica, TeliaSonera, Telecom Italia, Telenor Group, Tuenti, Vivendi and Vodafone.

4.1

ბაზრის მონაწილეებისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნა და ევროპის პრაქტიკაზე დაყრდნობით ბავშვებისათვის უსაფრთხო „online“ გარემოს შექმნის მიზნით ქცევის კოდექსისა და თვითრეგულირების მექანიზმების შემუშავება

სახელმწიფო რესურსის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა

მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე მზარდმა მოთხოვნამ, რასაც მოწმობს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის სწრაფი ზრდა, მსოფლიოს მასშტაბით დღის წესრიგში დააყენა რადიოსიხშირული რესურსის მართვისა და განაწილების მიმართ სტრატეგიული, მომავალ პერიოდზე ორიენტირებული და მოქნილი მიდგომის შემუშავების აუცილებლობა.

მოცემულ ტენდენციასთან გამკლავების მიზნით მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სიხშირეების განაწილების გეგმის რეალობასთან მოსარგებად, რათა ადეკვატური რაოდენობის სიხშირული რესურსი გახადონ ხელმისაწვდომი მობილურ/უსადენო ფართოზოლოვანი მომსახურებისათვის და შესაბამისად უზრუნველყონ შეზღუდული სიხშირული რესურსის ეფექტურად გამოყენება.

„ასოცირების შესახებ“ შეთანხმების XV-B დანართით განსაზღვრული N 676/2002/EC ევროპის პარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილება (ასევე „ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 8a და 9) - არეგულირებს სწორედ ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომელიც ეხება სიხშირული დიაპაზონების მიმართ ევროკავშირის დონეზე სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას, ჰარმონიზებული ტექნიკური ნორმების შემუშავებასა და ევროპისა თუ საერთაშორისო დონეზე (მეზობელ, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან) კოორდინაციის საკითხებს, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანი და არაფრაგმენტირებული რადიოსიხშირული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს ა) ერთი და იგივე სიხშირული დიაპაზონების ბ) ერთი და იგივე ტექნიკური ნორმებით გ) ერთი და იგივე დანიშნულებით განაწილებასა და გამოყენებას, რაც თავის მხრივ აუცილებელია იმისათვის, რომ ქვეყნებმა ადეკვატური სარგებელი მიიღონ ერთიანი სტანდარტის მქონე ქსელური და სამომხმარებლო მოწყობილობების მასშტაბით გამოწვეული ეკონომიით და სხვადასხვა ქვეყნების უსადენო ქსელების ურთიერთთავსებადობით.

შესაბამისად, იმისათვის, რომ საქართველომ ფეხი აუბას რადიოსიხშირული დიაპაზონების ჰარმონიზაციის კუთხით ევროპის ფარგლებში განვითარებულ მოვლენებსა და უზრუნველყოფილი იყოს რადიოსიხშირული რესურსის ეფექტური მართვა (დროულად და ეფექტურად განვახორციელოთ რადიოსიხშირული რესურსის სხვადასხვა სამსახურისათვის დაგეგმვა, განაწილება და ჰარმონიზებული ტექნიკური ნორმების გათვალისწინებით გაცემა), კომისია, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ წინადადებების შემუშავებასთან ერთად, გეგმავს:

1.1

მომზადოს და გამოაქვეყნოს საკონსულტაციო დოკუმენტი რადიოსიხშირული დიაპაზონების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის (ასევე CEPT-სა და ITU-ს) ფარგლებში გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯებისა და შესაბამისი რადიოსიხშირული დიაპაზონების განაწილების კუთხით შეცვლილი მიდგომის საქართველოში დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ,

1.2

შეიმუშაოს მოქნილი და ნათლად განსაზღვრული რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა

1.3


შეიმუშაოს რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის (მათ შორის რადიოსარელო კავშირისათვის განკუთვნილი სიხშირეების საფასურის) დაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია და შესაბამისი ფორმულა, ისევე, როგორც უზრუნველყოს ლიცენზიების ვადის გაგრძელების საფასურისათვის ოპტიმალური მეთოდოლოგიის შემუშავება.

დომენური სახელების სისტემა (DNS) ინტერნეტ ტექნოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს (საზოგადოებისათვის გასაგები/წაკითხვადი) დომენური სახელის (მაგ. ვებ-გვერდის მისამართის) ინტერნეტ პროტოკოლის ფარგლებში გამოყენებად (ციფრებში გამოხატულ) მისამართად გარდაქმნას (მაგ.: www.example.com - 192.0.43.10).

დომენური სახელების სისტემაში (რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა დონის დომენური სახელებისაგან შედგება) ccTLD - country code Top Level Domain-ი (ქვეყნის კოდი ზედა დონის

დომენში) კონკრეტული ქვეყნის მაიდენტიფიცირებელ ორ-სიმბოლოიან⁵¹ (მაგ. .ge. fr. uk. de) ზედა დონის დომენს წარმოადგენს, რომელსაც ICANN-ი (მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაცია) ანიჭებს შესაბამის ქვეყანას და რომელიც ქვეყნის რესურსს წარმოადგენს.

ვინაიდან ccTLD (country code Top Level Domain) სახელმწიფო რესურსს წარმოადგენს, ICANN⁵²-ისა და ITU-ს მიერ რეკომენდებულია, რომ ქვეყნებმა, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სამართლებრივად მოაწესრიგონ თავის ქვეყნებში ccTLD-ის მართვის საკითხი და ccTLD-ის მენეჯერებთან ურთიერთობა დააფუძნონ გამჭვირვალე სამართლებრივ და სახელშეკრულებო ნორმებზე.



ზემოაღნიშნული რეკომენდაციების, ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კომისია გეგმავს

2.1

შეიმუშაოს საკონსულტაციო დოკუმენტი, სადაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით, განსაზღვრული იქნება კომისიის მიერ რეკომენდებული ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენისა (ccTLD) და ქვეყანასთან ასოცირებული ინტერნაციონალიზებული ზედა დონის დომენის (IDN ccTLD) მართვისა და ადმინისტრირების მოდელი;


2.2

უზრუნველყოს ზედა დონის დომენისა (ccTLD) და ქვეყანასთან ასოცირებული ინტერნაციონალიზებული ზედა დონის დომენის (IDN ccTLD) მართვისა და ადმინისტრირების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავება;


⁵¹ ქვეყნის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოები განისაზღვრება [ISO 3166](#) სტანდარტის შესაბამისად

⁵² მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (ICANN) სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (GAC) სახელმძღვანელო დოკუმენტი - "სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენის დელეგირებისა და ადმინისტრირების შესახებ"

კომისია, მისთვის შესაბამისი კანონებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, გააგრძელებს თავისი ფუნქციების შესრულებას; კერძოდ, უზრუნველყოფს:



ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში საქმიანობის განმახორციელებელი პირების ლიცენზირება-ავტორიზაციას და შესაბამისი ნებართვების, სარგებლობის უფლებების გაცემას.




ავტორიზებული, ლიცენზიების, ნებართვებისა და შესაბამისი სარგებლობის უფლების მფლობელი პირების მიერ მათზე (შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებითა და კანონმდებლობით) დაკისრებული ვალდებულებების შესრულების დაცვაზე ზედამხედველობას, მათ შორის:



რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირების მიერ რადიოსიხშირული რესურსის მართლზომიერად გამოყენების მონიტორინგს;



ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირების მიერ (ქსელების მშენებლობასთან დაკავშირებით) განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას;




საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის ზედამხედველობასა და სარეკლამო და სასპონსორო ჭრების მონიტორინგს;




მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს;




ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების მიერ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგს.




მომხმარებელთა ინფორმირებას მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების, აგრეთვე, მათი უფლებების ეფექტურად დაცვისათვის შემუშავებული მექანიზმების შესახებ.



ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირებსა და მაუწყებლებს შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილი დავების განხილვასა და გადაწყვეტას.



მაუწყებლობის სფეროში პრიორიტეტების დადგენას, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის ბაზრების შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავება/გამოქვეყნებასა და შესაბამისი ევროპული (EN) სტანდარტების ეროვნულ სტანდარტებად დარეგისტრირების ხელშეწყობას.



ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედ უცხო ქვეყნების მარეგულირებელ ადმინისტრაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას, კერძოდ:

- კომისია გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU), საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების ევროპულ კონფერენციასთან (CEPT); მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (ICANN) სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტთან (GAC); ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან (ETSI), მარეგულირებელი ორგანოების ევროპულ პლატფორმასთან (EPRA), შავი ზღვის აუზის მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმთან (BRAf)... დამატებით, იგეგმება ევროპის აუდიოვიზუალურ ობსერვატორიაში (European Audiovisual Observatory) გაწევრიანება.
- რეგულირების სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით, კომისია, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, თანამშრომლობას გააგრძელებს პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისთან (UKE), ჩეხეთის ტელეკომუნიკაციების ოფისთან (CTU), ლიტვის კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოსთან (RRT) და პორტუგალიის კომუნიკაციების ეროვნულ ორგანოსთან (ANACOM). ორმხრივი თანამშრომლობის დამადასტურებელი ოფიციალური წერილის ფარგლებში, რადიოსიხშირების მართვის სფეროში ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით, კომისია თანამშრომლობას გააგრძელებს გერმანიის ელექტროენერგიის, გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის ფედერალურ სააგენტოსთან (BNetzA).

კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიო ბანკის მისიასთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ე.წ. განვითარების პოლიტიკის ღონისძიების (Development Policy Operation – DPO) შემუშავება⁵³.

ევროკომისიასთან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობითა და მათი დაფინანსებით, მომავალი 2-3 წლის განმავლობაში, დაგეგმილია:

1. EaPeReg ქსელის სამუშაო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, 2015 წელს, განხორციელდება ორი პროექტი:
 - 1.1. რეგიონალური თანამშრომლობის პროექტი, რომელიც მოიცავს 4 სამუშაო შეხვედრასა და 2 პლენარულ სხდომას.
 - 1.2. ადმინისტრაციული პარტნიორობის თითოეული პარტნიორი ქვეყნისთვის სპეციფიური პროექტი (CSIP), რომელიც საქართველოსთვის მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და დაახლოება ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან; ბ) ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების ხელშეწყობა.
2. ევროკომისიის ე.წ. დამეგობრების (Twining) პროექტი, რომელიც სავარაუდოდ დაიწყება 2016 წელს და გაგრძელდება 18-20 თვე.

2015 წლის განმავლობაში, ასევე, დაგეგმილია საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ორი პროექტის - ა) „მედიის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის ხელშეწყობა“ და ბ) „ინტერნეტის თავისუფლების უზრუნველყოფა“ - ინიცირება.

⁵³ აღნიშნული მიზნად ისახავს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრასა და მათ შემდგომ დაფინანსებას.

